ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 2-10
10/02/2021

10-07-4-202102101232

ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის'' პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული წესის შესაბამისად გამოყოფილი თანხის განაწილების, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' და „ე.ი'' ქვეპუნქტების, 85^3მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' და „თ'' ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს ორგანოებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის ,, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N 1 დანართის მიხედვით.
2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები N2 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
3. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისაგან საპროექტო

წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

4. მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: ,,დასახლებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა''.
6. სოფლის საერთო კრებებზე მომხსენებლად განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული პირი.
7. ეთხოვოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ბატონი:გ.გუგავა) უზრუნველყოს სოფლის საერთო კრებებში მონაწილეობისა და პრიორიტეტული პროექტების შერჩევაში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით საკრებულოს მაჟორიტარი წევრების,საკრებულოს კომისიების,ფრაქციების და სხვა წევრების აქტიური მონაწილეობა.
8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ
   სოფო გვიშიანი-მობილური N 599 27 58 08, ელ.ფოსტა:sofiogvisiani@yah00.com
   თენგიზ მეშველიანი - მობილური 577 38 10 72, ელფოსტა:ifo.cageri@gmail.com
   იური ლარცულიანი - მობილური N 559 54 75 77 ელ.ფოსტა:takveri2010@mail.ru
   ინგა ბურჯალიანი - მობილური N 595 56 98 48, ელ.ფოსტა:arqiteqtura63@mail.ru
9. მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით აღნიშნული ბრძანება განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე,ცაგერის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.გადაეცეთ მერის წარმომადგენლებს ტერიტორიულ ერთეულებში და დაევალოს მერის წარმომადგენლებს გასწიონ ფართო ახსნა-განმარტებითი საქმიანობა მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (ასათიანის ქ. N 1).

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

.